გენდერული თანასწორობა

მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. დაუშვებელია მათი დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით. თითოეულმა სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო პირობები, რათა უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული თანასწორობა, რომელიც ადამიანის უფლებათა განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, გულისხმობს სქესთა თანასწორობას, ქალისა და მამაკაცის უფლებას თანაბრად მონაწილეობდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანასწორად სარგებლობდნენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

ქალი და საკუთრება

საქართველოს კონსტიტუციით ქალი და მამაკაცი თანასწორია და მათ ერთნაირი უფლებები გააჩნიათ. მათი თანასწორუფლებიანობა ვრცელდება ყველა სფეროზე, მათ შორის საკუთრებაზეც. საკუთრების თანაბარი უფლება დაცულია და აღიარებულია კანონით. კანონი განასხვავებს მეუღლეთა ინდივიდუალურ და საერთო საკუთრებას.

ინდივიდუალურია თითოეული მეუღლის ის საკუთრება, რომელიც მას დაქორწინებამდე ეკუთნოდა, ასევე, ის, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

მეუღლეთა **საერთო საკუთრებაა** ყველაფერი ის, რაც მათ ქორწინების განმავლობაში შეიძინეს. საყურადღებოა, რომ ხშირად, ერთ-ერთი მეუღლე მუშაობს და არჩენს ოჯახს, მეორე კი ეწევა საოჯახო საქმიანობას, უვლის შვილებს და არა აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ასეთ შემთხვევაშიც, თუნდაც მხოლოდ ერთი მეუღლის შემოსავლით შეძენილი ქონება, საერთო საკუთრებად ითვლება.

ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას;

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

პროექტის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ახორციელებს პროექტს *„ქალთა, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებულ ქალთა გაძლიერება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა“, რომლის მიზანია* ქალთა სამართლებრივი გაძლიერება და მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

პროექტი განხორციელდება საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების შემდეგ მუნიციპალიტეტებში: წალკა, თეთრიწყარო, ნინოწმინდა, ახალქალაქი და ახალციხე.

პროექტის ფარგლებში „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“ დაგეგმილი აქვს შემდეგი აქტივობები:

- სტრატეგიული სამართალწარმოების განხორციელება;
- არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე არსებული დაბრკოლებების შემცირება.
- საკუთარ პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანალიზის მომზადება;
- ტრენინგების სერიის ჩატარება, რომელზეც მოწვეული იქნებიან პროექტის ბენეფიციარ ქალთა ჯგუფის წარომადგენლები.

პროექტის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქალები, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, რომლებიც განიცდიან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, საკუთრების უფლებების დარღვევას, სექსუალურ ძალადობას, ოჯახში ძალადობას და რომლებიც საჭიროებენ იურიდიულ დახმარებას აღნიშნულ სფეროებში. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს გაეწევათ უფასო იურიდიული დახმარება, როგორც კონსულტაციების, ასევე, წარმომადგენლობის განხორციელების გზით.

თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაგვიკავშირდით

(+995 32) 2998856

ორგანიზაცია: კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მისამართი: ქანთარიას 11ა, 0160 თბილისი
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2998856
ელ-ფოსტა: office@article42.ge
ვებ-გვერდი: www.article42.ge
Facebook: www.facebook.com/article42

ბროშურის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კონსტიტუციის 42-ე მუხლი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

ქალთა, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებულ ქალთა გაძლიერება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

ვიცოდეთ ჩვენი უფლებები

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

2016 წელი